№ 232

პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227


№ 232

პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
**სალომე ი. კერესელიძე**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე.
მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—15)

**ქართველ ქალთა სამკერვალო**
1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.
იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენნი თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.
**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**
ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
**დილით:**
**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.
**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).
**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.
**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.
**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.
**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.
**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.
**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).
**საღამოთი:**
**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
**ი. ფ. პროტასევი.** 5ჩი—6 საათ.
**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.
**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს & სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**ექიმი**
**კ. ს. გძელიშვილი**
მიიღებს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—63)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—18)

## ახალი ამბავი

⁂ ქუთაისის გუბერნატორი გენ. მ. გერშელმანი ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა სამსახურის გამო.

⁂ დღეისათვის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც განიხილავს ამიერ-კავკასიის წრევანდელ მოუსავლობის საქმეს.

⁂ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის წესდების შეცვლის საქმე სათანადო მთავრობას უკვე განუხილავს და ამ მოკლე ხანში უმაღლესს მთავრობას გარდაეცემა.

⁂ ამ ჟამად სათანადო დაწესებულება ცნობებსა ჰკრებს ამიერ-კავკასიის გლეხთა ხელში მყოფ არასანდელო მიწების რაოდენობის შესახებ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ სასულიერო მთავრობას გარდაუწყვეტია მომავალ სექტემბრიდგან დააარსოს ტფილისში სამასწავლებლო ინსტიტუტი, სადაც მოამზადებენ მასწავლებლებს სამრევლო მეორე კლასიან სკოლებისათვის. რუსეთის სამრევლო სკოლების მთავარ ზედამხედველს ბ-ნს შემიაკინს მიუნდვია აქაურ ზედამხედველის ბ-ნ ტატიშვილისათვის იშოვნოს შესაფერი ალაგი ტფილისში. ინსტიტუტთან დაარსებული იქმნება სამეურნეო განყოფილებაც.

⁂ 26 ოქტომბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა თელავისა და სიღნაღის მევენახეთა სხდომა ზოგიერთ იმ საქმეთა განსახილველად, რომლებიც ნოემბერში უნდა გარდასწყვიტოს კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა კრებამ თელავში.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შეატყობინა გუბერნატორს, ერთად-ერთი მოხერხებული ადგილი ლიდუბესა და ნაძალადევს შუა რკინის გზაზედ გადასასვლელ გზის გასაკეთებლად არის 289 ვერსის დასაწყისი, საითკენაც ქალაქმა უთუოდ გზა უნდა გაიყვანოსო. სადგურის მახლობლად გადასასვლელ გზის გაკეთება უფროსს შეუძლებლად უცვნია.

⁂ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა: ტფილისის ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებანი პირუტყვით ვაჭრობის

## ფელეტონი

### ბარბარე

კომედია ერთ მოქმედებად ჯერომ კ. ჯერომისა

(შემდეგი *)

სესილი. (კარებს მიჰხურავს და ბარბარესკენ გადავა). რა დავაშავე?..

ბარბარე. (თავისთვის) უბედურება ის-კი არ არის, რაც დააშავე, ის არის, რაც არ დააშავე!.. (ხმა მაღლად) არაფერია... ხასიათი აქვს ავეთი... თქვენა ჰბრძანებთ ხოლმე, რომ ანგლოზიაო... ჰო-და, ეგეც ანგლოზის ხასიათის თვისება გახლავთ...

სესილი. ვშიშობ, იქნება ჩემი მოსვლა სწყინს და იმიტომა სჯავრობს...

ბარბარე. ოჰ, არა... თქვენს მოსვლამდეც გუნებაზედ არ იყო... (სიჩუმეა). მართალს გეტყვით, სესილ, მაგ ქალს რაღაცა ემართება... ბევრსა ვფიქრობ და არ ვიცი, რა ვუღონო...

სესილი. ღმერთო ჩემო, რა დაემართა?.. ავად არის?.. იქნება საშიშია რამე?..

ბარბარე. ისე საშიში არაფერია, მაგრამ იმდენად-კი აქვს გაძნელებული, რომ ადვილად არ გაუვლის...

სესილი. რატომ ადრევე არ მაცოდინეთ?.. დიდი ხანია დაეწყო?..

ბარბარე. შარშანდელს ზაფხულს აქეთია... თითქმის მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიცნოთ... ის დღეა და ეს დღე, თანდათან უარესი ემართება...

სესილი. მერე, საშუალება არა გიხმარიათ-რა?..

ბარბარე. არაფერი!..

სესილი. ეგ რომ არაფერსა ჰგავს, ვგონებ დროა, რომ...

ბარბარე. (შააწყვეტინებს) ვულონოთ რამე განა?.. მართალსა ჰბრძანებთ, დიდი ხანია დროა... იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით...

სესილი. რასაკვირველია, დაგეხმარებით!.. სიამოვნებით!.. მზადა ვარ მკლავი მოვიჭრა, ოღონდ-კი ლილის ეშველოს რამე და ტანჯვას გადარჩეს.

ბარბარე. (პირდაპირ შეჰხედავს) ეგ თითონ იმას უთხარით... იქნება მაგან უშველოს...

სესილი. (უგმაყოფილოდ) რა არის, რომ დამცინით... ეს სიტყვა ჩემდა უნებურად წამომცდა, მაგრამ მაინც გულ წრფელად ვთქვი...

ბარბარე. (ამოიოხრებს) სულელია!..

სესილი. ვინა? მე?..

ბარბარე. თქვენ და სულელი?.. ღმერთმა დაგიფაროთ!.. მაგას რას ამბობთ!.. არა, თქვენ-კი არა, მე იმისას ვამბობ.

სესილი. იმისასაო?.. ვინ იმისას?..

ბარბარე. იმისას, ვის გამოც ეს ამბავი დატრიალდა... ვინც ლილის უყვარს...

სესილი. უყვარს?..

ბარბარე. ჰო, უყვარს, რას გაიოცეთ?.. ჩვენ, საბრალო, სუსტი ქალები, ხანდახან სიყვარულს გავეტაცებინებით ხოლმე... თქვენ-კი არა გევავართ, მამაკაცებს... თქვენ ისე ხართ ქვეყნად ცხოვრებით გულ-გატეხილნი, რომ მისთანა სისულელეს, რასაკვირველია, არასოდეს არ ჩაიდენთ...

სესილი. ნეტა არ იქნება, რომ აგრე იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ჩვენ უფრო დიდს სისულელეს ჩავიდენთ ხოლმე!.. (დადის აღელვებული) არა მჯერა...

ბარბარე. რა?..

სესილი. ისა, რომ ლილის უყვარდეს... მეტად გულ-გრილი და გულ-ცივია... თითონაც უთქვამს რამდენჯერმე, რომ ჩემმა გულმა სიყვარული არ იცისო...

ბარბარე. რასაკვირველია, ყველა არ ეყვარება... „ჩემმა გულმა სიყვარული არ იცისო!.." ამ ექვს თვეში ვინც უნდა ყოფილიყო, ადვილად დარწმუნდებოდა, რომ სტყუის!..

სესილი. მართალს ამბობთ.. ბრმა ვიყავ, ვერა ვხედავდი... ეხლა-კი მესმის, რად მეკიდება ასე გულ-გრილადა და სასტიკად... ალბად ვუშლი... ვინ არის, ვინ?.. ვიცნობ?..

ბარბარე. არა მგონია...

სესილი. რა ჰქვიან?..

ბარბარე ლილის ნება-დაურთველად ვერ გეტყვით იმისს სახელს...

სესილი. დამცინით!... მეხუმრებით!..

ბარბარე. არა ვხუმრობ, სესილ... ლილის უყვარს იგი სულითა და გულით, უყვარს ისე, როგორც-კი შეუძლიან სიყვარული ყმაწვილს ქალს, მთელი მაგისი სიცოცხლე იმ კაცის ხელთ არის... ლილისათვის ასეთი სიყვარული ხუმრობა არ გახლავთ!..

სესილი. არც ჩემთვისაა ხუმრობა!..

ბარბარე. (თავისთვის) საბრალო!. მეცოდება, რომ ასე ვტანჯავ...

სესილი. (ხმა-წასული) რა კაცია?.. რას მეტყვით იმის შესახებ?.. თქვენ თითონ რა აზრისანი ხართ?..

ბარბარე. მე მომწონს...

სესილი. რა გგონიათ, შეიძლებს ლილის გაბედნიერებას?..

ბარბარე. არა თუ მგონია, დარწმუნებული ვარ... გაგიჟებით უყვარს ლილი, ნამდვილად ვიცი... პატიოსანი, კარგი კაცია... ჩემის აზრით, იგი შეუდარებელია და ლილიმ ბედს უნდა დაუმადლოს, თუ იმას მისთხოვდა...

სესილი. (დაცინვით) რაღა თქმა უნდა!.. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ იმ ბატონს არც ერთი ნაკლი არა ჰქონია... სრულით-უსრულესი ქმნილება ყოფილა!..

ბარბარე. მაგას ნუ იტყვით, ნაკლიცა აქვს... ჯერ ერთი, სულელი-კი არ არის... მაგრამ... ისე, მიუხ-

*) იხ. „ივერია" № 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ შესაწყნარებლად იქმნას ცნობილი; წესები ტფილისის ქალაქის საბჭოში საქმეთა წარმოების წესრიგის შესახებ განუხილველად იქმნას დატოვებული, რადგან საბჭოს არ შეუძლია თავისს თავს წესები შეუდგინოს; დუშეთის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილებანი დაფასების გარდასახადის განაწილების შესახებ გაუქმებულ იქმნას; იმავე კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ ხოლერობის დროს მოკრებილი ფული ქალაქს გარდაეცეს, დამტკიცებულ იქმნას. გორის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილება კრების თავმჯდომარის არ ჩევამდე ქალაქის საქმეთა განუხილველად დატოვების შესახებ გაუქმებულ იქმნას, ახალციხის რწმუნებულთა კრების დადგენილება ქალაქის საყასბოს იჯარით გაცემის შესახებ, აგრეთვე გაუქმებულ იქმნას.

⁂ 19 ოქტომბერს პეტერბურგში გარდაიცვალა ი. ფ. დეკერ-შენკი, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება იმით, რომ განსვენებული თავისს ცოლთან ერთად მესამოცდაათე წლებში მონაწილეობას იღებდა ქართულ წარმოდგენებში და, როცა პირველად ქართულ სცენაზედ ოპერეტას სდგამდნენ, იგი ხელმძღვანელობას უწევდა ჩვენს მსახიობთ. დეკერ-შენკი უნგრელი იყო; იგი ცნობილი იყო, როგორც კარგი მემუსიკე (გიტარის დამკვრელი) და აგრეთვე კომპოზიტორი. სხვათა შორის მისი დაწერილია ცნობილი კომიკური ოპერა „ჰაჯი-მურადი“, რომელიც 1500-ჯერ უთამაშნიათ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და რომლის შინაარსიც კავკასიის ცხოვრებიდგან არის აღებული; მისივე დაწერილია კომიკური ოპერა „თამარის ციხე“ და სხ. ყველა მის ნაწარმოებს საზოგადოდ დიდი სახელი აქვს რუსეთში. როგორც გიტარის დამკვრელს, განსვენებულს ცალი არა ჰყავდა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაეცა ბრალმდებლისაგან საბრალმდებლო ოქმი აზნ. ილია ფანიაშვილის საქმის შესახებ, რომელსაც თვისის ღვიძლის ძმის ნიკ. ფანიაშვილის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

⁂ 26 ოქტომბერს ქ. ტფილისის პოლიციის მე-2 ნაწილში შეიპყრეს 12 კაცი, რომელთაც არავითარი მოწმობის ქაღალდი არა ჰქონიათ.

⁂ სატყეო დეპარტამენტმა საყოველთაო მოწერილობით წინადადება მისცა თავისს ხელ-ქვეით მოხელეთ კავკასიაში, ყოველის ღონისძიებით ხელი შეუწყეთ ადგილობრივ მცხოვრებთა მეცადინეობას გააშენონ ტყეები და გაეცით ამ აზრით სახელმწიფო ტყეებიდგან ნერგები, რაც შეიძლება შეღავათიან პირობებითაო.

⁂ ქალაქის გამგეობამ განიხილა საბჭოს კომისიის აზრი ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და დაადგინა პროგიმნაზიის შესანახ 10,000 მანეთის გადადების საქმე საბჭოს გარდაეცეს დასამტკიცებლადაო.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, რამდენსამე მწარმოებელს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ კავკასიის მადნეულ წყლების წარმოების უფლება მხოლოდ მათ მიეცეთ.

⁂ ამ დღეებში, თამამშევის სახლში, მკურნალის გედალინის ბინის მილში, მუშაობის დროს მუშებმა აღმოაჩინეს საყურადღებო ქაღალდები; ამ ქაღალდებს შორის არის: პასპორტი ვოგოვსკის სახელზედ, რომელიც თავ. ორბელიანის მამულის მოურავი იყო, აღმასრულებელი ფურცელი ვოგოვსკის სასარგებლოდ 2,000 მანეთის გარდახდევინების შესახებ, მისი უბის წიგნი და სხ. პოლიცია შეუდგა ვაგოვსკის ძებნას, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად წავიდა ტფილისიდგან.

⁂ ადგილობრივს გაზეთებს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დამტკიცებულ იქმნა ფოთ-ჭიათურის შავი-ქვისა და სამთო-სამეტალურგიო საზოგადოების წესდებაო.

⁂ „ახ. მ.“-ს სოხუმიდგან სწერენ: აქამდე ვაჭრობას სოხუმში მხოლოდ კვირაობით სპობდნენ, წირვის დროს და ნაშუადღევის 2 საათის შემდეგ. სხვა დღეებში-კი ნოქართა სამუშაო დრო არაფრით არ იყო განსაზღვრული. მუშაობას ისინი ჩვეულებრივ დილის 5 საათიდგან იწყებდნენ და ათავებდნენ ღამის 11 ან 12 საათზედ. ახალგაზრდა ნოქრების მდგომარეობა სწორედ საბრალო იყო. ამ ბოლო დროს ნოქრებს ის მცირედენი მოსვენებაც-კი მოესპოთ, რომლითაც კვირაობით სარგებლობდენ, და მათივე ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნა. ამ გარემოებამ აიძულა აქაური ნოქრები საერთო თხოვნა წარედგინათ ქუთ. გუბერნატორისათვის მათის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გუბერნატორმა ეს საქმე სოხუმის ქალაქის საბჭოს გადმოსცა განსახილველად. საბჭომ ნოქრების შუამდგომლობა შესაწყნარებლად სცნო და დაადგინა ვაჭრობის შეწყვეტა: 1) კვირაობით წირვის დროს დილის 9 საათიდგან 12 მდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან მთელის დღით; 2) უქმე დღეებში მთელი დღე და ღამით და 3) საქმის დღეებში საღამოს 9 საათიდგან დილის 6 საათამდე.

⁂ სად. საჯავახო, (ოზურგეთის მაზრა). რაც ეს სადგური დაარსებულა, მას შემდეგ დიდი გაჭირვება ადგათ აქ მიმომსვლელთ იმის გამო, რომ სადგურს ხალხის მისასვლელი გზა სწორედ იმ მხარეზედ აქვს, სადაც ყოველთვის სახალხო მატარებლის მოსვლის დროს საქონლის მატარებელი სდგას და ხალხი იძულებულია ვაგონების ქვეშ დაძვრებოდეს. ხშირად მომხდარა, რომ ავადმყოფები ვერ გაუყვანიათ ვაგონებს ქვეშ და დარჩენილან მეორე დღემდე. მეორეც ის არის, რომ ქალაქიდგან დღით მიმავალი მატარებელი იქ არ ჩერდება და ამიტომ მგზავრები, რომელთაც არ იციან ჩერდება თუ არა იქ მატარებელი, იძულებულნი არიან მატარებელს კიდევ იქით გაჰყვენ. იმედია, ვისიც ჯერ არს, ამ ამბავს ყურადღებას მიაქცევს, რომ ხალხს შეუმსუბუქდეს სადგურზე გადასვლა გადმოსვლა და გზასაც ზარალი არ მიეცეს. ამასთანავე ვთხოვთ, ვისიც ჯერ არს, ქალაქიდგან მიმავალი მატარებელი ცოტად მაინც შეაჩერონ, რომ ხალხმა გადმოსვლა მოასწროს.

⁂ ს. გულაში, (ქუთ. მაზრა). აქ დაარსდა ბ-ნ კანდელაკის თაოსნობით საამხანაგო კასა.

⁂ ს. ეწერი, (ქუთ. მაზ.). აქ თუმცალა ბევრჯელ იყო აღძრული ლაპარაკი, რომ ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა ორკლასიანად გადაკეთდესო, მაგრამ დღემდის სასიამოვნო პასუხი საზოგადოებისაგან არ გაგონილა და 10 ოქტომბერს კი საზოგადოება თითქმის ერთხმად (წინააღმდეგი იყვნენ სამტრედიელები, რომლებიც დაშორებით სცხოვრობენ) თანახმა შეიქნა სკოლის ორკლასიანად გადაკეთებისა, მხოლოდ მეორე მასწავლებლის ჯამაგირი ხაზინიდგან ითხოვეს, წლიურად 400 მანეთი. დირექციამ სამინისტროსთან შუამდგომლობაზედ თანხმობა განაცხადა იმ შემთხვევაში, თუ ეწერის საზოგადოება ნაცვლად 240 მანეთისა ერთ მასწავლებელს მისცემს არა ნაკლებ 300 მანეთისა და აავებს შენობას დირექციისაგან მოცემულს გეგმაზედ.

⁂ გრიბოედოვის ქუჩაზედ მცხოვრები ქვრივი სიდონია გურიელი პასუხის გებაში იქმნა მიცემული იმის გამო, რომ პოლიციის გამოძიებით ეს ქალი მცირე წლოვან ქალებით თურმე ვაჭრობდა და ერთი მის მსხვერპლთაგანი ყოფილა მცირე წლოვანი ნატალია, თელავის მაზრის გლეხის ქალი, რომელიც გურიელის ბინაზედ აღმოუჩენიათ.

## წერილი ქუთაისიდგან.

18 ოქტომბერს ქუთაისის საბჭოში მომხდარ კრებაზედ სხვა საგანთა შორის ყველაზედ მეტს ყურადღებას იპყრობდა ოთხმოცდაოთხის ვაჭრისაგან ხელ-მოწერილი თხოვნა იმის შესახებ, რომ განწესრიგებულ იქმნას კვირა-უქმე დღეს ვაჭრობაო. თხოვნაში ვაჭრები აუწყებდნენ საბჭოს, რომ, ჩვენის აზრით, ჩვენი მოსამსახურებისათვის საკმარისი არ არის დასასვენებლად ის დრო, რომელიც გარდაწყვეტილია საბჭოსაგანაო. არსებულ დადგენილების ძალით, სავაჭრო და სამრეწველო სახლები კვირა დღეობით იკეტება მხოლოდ საღამოს ექვს საათზედ და, მაშასადამე, მოსამსახურეებს სრულიად არ ეძლევათ თავისუფალი დრო. ამისათვის ვაჭრები სთხოვდნენ საბჭოს დააკანონეთო ისეთი წესი, რომ კვირა უქმე დღეობით მაღაზიები იღებოდეს 12 საათზედ და იკეტებოდეს ნაშუადღევის 3 საათზედაო. გარდა ამისა ვაჭრები იმასაც თხოულობდნენ, რომ მოგვეცით ნება ვივაჭროთ მთელს დღეს სამეფო დღესასწაულს დღეებში ისე, როგორც სხვა ქალაქებშიაო. ერთის სიტყვით, ვაჭრები შევიდნენ თავიანთ მოსამსახურეების მდგომარეობაში და სთხოვეს საბჭოს უფრო მეტი თავისუფალი დრო მიეცეთ დასასვენებლად, ვიდრე ეხლა აქვთ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ჟამად სრულიად არა აქვთ თავისუფალი დრო ნოქრებს, უეჭველია, დავინახავთ, რა მნიშვნელობაცა აქვს ვაჭრების თხოვნას მსახურთა ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის. რა გგონია, მკითხველო, როგორ მოექცა ასეთ საინტერესო საქმეს ჩვენი ქალაქის თვითმართველობა?

აილეს და ამ ფრიად საინტერესო კითხვის გარდაწყვეტა გადასდეს გასარჩევად მომავლისათვის, თითქო საჭირო იყო რისამე გამოკვლევა და გამოძიება ამ ყველასათვის კარგად გასაგებ საგნის ასახსნელად. ერთმა-ორმა ხმოსანმა წამოიძახა, რომ ჩვენ ნება არა გვაქვს ვაჭრობა ავუკრძალოთ ვაჭრებსაო და ქალაქის მოურავმაც კითხვა ასე დააყენა: ვისაც გსურთ ამ საგნის გადადება, ადექით, და ხმოსნების უმეტესი ნაწილიც ფეხზედ წამოდგა.

აი სწორედ ამასა ჰქვიან ხალხის საჭიროებისათვის ზრუნვა! ქუთაისის საბჭოს წევრებს იმით მოსწონთ თავიანთი საბჭო, რომ ბევრი განათლებული ხმოსანი გვყავსო, და ის-კი ავიწყდებათ, რომ თურმე ზოგიერთ შემთხვევაში განათლებული ხმოსნებიც უხმოები ჰხდებიან! აქაურ საბჭოში ხშირად მოისმენთ გრძელ „რეჩებს“, წარმოთქმულს განათლებულ ხმოსნებისაგან, რომელნიც თითქმის ყოველ კრებაზედ ქებითა და დიდებით იხსენიებენ მესამოცე და მესა-

---

ვედრელია და მეტად ძნელად ესმის. მეორე... (სესილის ტანისამოსს ავლებს თვალს) კოპწიაა... (ფეხსაცმლებსა და ყურძნს შეჰხედავს). ფულის ფანტვა უყვარს... (სესილი იღიმება) დამცინავია... ამაყი და თავის ნათქვამი... თუთუნს ეწევა, სვამს, ხანდახან საშინელს რამეებს იტყვის ხოლმე, ჰფიცავს, იგინება... გავიგონე, როდესაც ერთხელ, ბნელს კიბეზედ, კატას წამოჰკრა ფეხი... არ ეგონა, თუ იქავე ახლოს ვიყავ... აქამდეც-კი მეშინიან, რომ გავიხსენებ ხოლმე!.. კატაც ილანძღებოდა, სწორედ ისევე, როგორც ის.. თუმცა კი თითონვე იყო დამნაშავე: რად წამოჰკრა ფეხი საბრალო ცხოველს... ისეთი მოუხეშავია... (ამ დროს სესილი სიარულში შკაფს მოხვდება და საყვავილეს ჩამოაგდებს ყვავილებიანით) ამასთან ხანდახან გულიც მოუვა ხოლმე... (სესილი გაბოროტებით წამოჰკრავს ფეხს საყვავილეს ნამტვრევებს და გვერდზედ მიჰყრის) გაბრაზებაც იცის...

სესილი. დიდად ვწუხვარ, რომ ავეთი კაცი შეუდარებლად მიგიჩნევიათ. მე-კი იცით რას დაგარქმევდი?.. მაგრამ გაჩუმება სჯობს!... საბრალო ლილი!.. უეჭველია გაბედნიერდება იმისს ხელში!.. სხვა საკითხავი აქ არაფერია.., რაღა თქმა უნდა, ლამაზი ვაჟკაციც იქნება... მაგისთანანი ყოველთვის ლამაზები არიან... (მაგიდის ბოლოზედ დაჯდება).

ბარბარე. (ათვალიერებს სესილს ისე, რომ იგი ამას ვერ ამჩნევს). ჰმ.., არა, ლამაზ ვაჟკაცად არ ჩაითვლება... არა ეჭირვებოდა-რა, ცოტას ცხვირი რომ არ უშლიდეს... (სესილი ზურგს შეაქცევს) ამას გარდა, ხშირად იმისი ქცევა და მიხვრა-მოხვრაც არ მომწონს ხოლმე...

სესილი. საწყალი ლილი!.. და მერე მაგ „შეუდარებელს“ მისდევს ცოლად!...

ბარბარე. მე არ მითქვამს, ცოლად მისდევს-მეთქი?..

სესილი. (პირს მოიბრუნებს) მაშ არ მისდევს?..

ბარბარე. არც ეგ მითქვამს... მარტო ისა ვთქვი, რომ ლილის უყვარს-მეთქი... ჯერ იმას არც გამოუცხადებია სურვილი ლილის შერთვისა...

სესილი. მაშ ჯერ არ გამოუცხადებია?..

ბარბარე. ძალიან მადლობელი ვიქნები, ჩემი სიტყვები რომ არ გაიმეოროთ ხოლმე... ნუ თუ თქვენი არა გყოფნით.

სესილი. თქვენვე არა სთქვით, რომ იმ კაცს უყვარს ლილიო...

ბარბარე. ვთქვი...

სესილი. საიდგან იცით ეგ ამბავი?..

ბარბარე. თითონვე გამომიტყდა...

სესილი. რატომ თითონ ლილის არ გამოუცხადებს?..

ბარბარე. ეგ მეც მიკვირს ხოლმე...

სესილი. მაშ თუ აგრეა, სულელი ყოფილა!..

ბარბარე. მეც მაგას ვამბობ... ხშირად ისე მაბრაზებს, რომ არ ვიცი რა ვუყო!... გულში გამივლებს ხოლმე, თავი კედელზედ ვუხალო-მეთქი, და ვიზამ კიდეც ამას... ვგრძნობ, რომ ვიზამ!..

სესილი. მეც-კი დიდის სიამოვნებით დაგეხმარებოდით... იქნება მიზეზი აქვს რამე და იმიტომ არ უცხადებს?..

ბარბარე.. ჩემის აზრით, მიზეზი ის არის, რომ ჭკუა აკლია იმ კაცს... ლილიც კარგი ჰბრძანდება!.. სწორედ, რომ ერთმანეთის შესაფერნი არიან... იმას ეშინიან ლილის დაელაპარაკოს, და ლილი ჰფრთხის, როგორ გავუშტერე თვალიო... კაცი იტანჯება, რადგან ჰგონია, ლილის არ ვუნდივარო; ლილი კი ლამის ჩამოხმეს იმ დარდით, რომ არ მოვეწონეო... იქმნებიან ასე და იმაიმუნებენ იმ დრომდე, ვიდრე ტანჯვით ორივენი არ დაიხოცებიან... რას უზამთ ამისთანა ხალხს?..

სესილი. რას ვუზამ?..

ბარბარე. ჰო... თქვენ რომ ჩემს ადგილას იყოთ, როგორ მოიქცეოდით?..

სესილი. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, როგორ მოვიქცეოდი?...

ბარბარე. სესილ თუ კარგად მოსძებნით, აი იმ საწიგნეზედ ლექსიკონს იპოვით... იქ ბევრი სიტყვა სწერია და თუ...

სესილი. შემინდეთ, ისე ვარ აღელვებული, რომ... მეც არ მესმის, რას ვამბობ... არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მოვიქცეოდი თქვენს ადგილას...

ბარბარე. ხელი რომ ჰკრას ვინმე და ურთიერთს მიახალოს, დარწმუნებული ვარ, გულში ჩაიკრავენ ერთმანერთს...

სესილი. მაშ თქვენ უნდა მიახვედროთ, რომ ლილის... ჰო... რომ ლილის უყვარს იგი... ხომ შეგიძლიანთ სიტყვა გადაუკრათ...

ბარბარე. სიტყვა გადაუკრა... გეტყობათ, რომ არ იცნობთ... გაგაცნობთ... მინდა შევიტყო, როგორ მოგეწონებათ...

სესილი. გირჩევთ, რომ ეგ არა ჰქნათ... (მოშორდება, ბუხართან მიდგა და ზურგს ბუხარს შეაქცევს).

ბარბარე. მე-კი მგონია, რომ უნდა მოგეწონოთ...

სესილი. ბუნებით ბრაზიანი არა ვარ, მაგრამ, თუ ღმერთი გრწამთ მაგ კაცს ნურსად შემახვედრებთ... თქვენ ისედაც ბევრი ბოროტი მომაყენეთ იმითი, რომ აქამდე სანატ-

მოცდა-ათე წლების მოღვაწეობას და, რასაკვირველია, თავიანთ თავსაც იმ დროის მოღვაწეებს ათვლიან. მესამოცე წლების მოღვაწეებმა ჩვენის ხმოსნების მოქმედება მეთექვსმეტე საუკუნის მოღვაწეების მოქმედებად უნდა ჩასთვალონ. „წავიდა მესამოცე და მესამოცდაათე წლების დრო და თან გაჰყვა მას სხვა-და-სხვა იდეალებით გატაცებული მოღვაწეებიო... ეხლა დადგა დრო მატერიალიზმისა და კუჭიზმისა და ამისათვის ველარ ჰპოვებთ იდეალებით გატაცებულ მოღვაწეებსაო“. ასე გაათავა ამას წინად საბჭოს კრებაზედ თავისი გრძელი „რეჩი“ ერთმა „ნაფიცმა ორატორმა“. დიახ! მესამოცე წლების ნამდვილი მოღვაწეები წავიდნენ იქ, საიდგანაც არავინ დაბრუნებულა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მესამოცე წლებმა დაგვიტოვა ისეთი მოღვაწეები, როგორიც ჩვენი „განათლებული“ ხმოსნები ჰბრძანდებიან.

განა მართლა სამწუხარო არ არის, რომ ეგრეთ წოდებული განათლებული ხმოსნები ასე გულ-გრილად ექცევიან ისეთ საქმეს, როგორიც კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის განწესრიგებაა? ვაჭრებმა შეიგნეს, რომ ნოქრებისათვის საჭიროა მეტი თავისუფალი დრო და თითონ სცდილობენ დააკანონონ ისეთი წესი, რომელიც მეტ თავისუფალ დროს აძლევდეს მოსამსახურეებს; „განათლებული“ ხსოსნები-კი იმის მაგიერ, რომ თითონ ითავონ ყოველივე ამგვარი საქმე, წინ ეღობებიან საგნების სასურველად გარდაწყვეტას? აი სად თავდება ჩვენი „ბულვარის ლიბერალების“ საზოგადო მოღვაწეობის მოძღვრება! არ იფიქრო, რომ ამ საგნის განხილვა იმისთვის გადასდეს მომავლისათვის, რომ საბჭოს მართლა ნება არ ჰქონდა ამ საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტისა. არა! აქ სულ სხვა მიზეზი უნდა იყოს, თუმცა არავის ხმა კი არ ამოუღია ამის შესახებ. კერძო ლაპარაკში ერთი ხმოსანთაგანი ამტკიცებდა, რომ საბჭოს სრული უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე განაწესრიგოს ვაჭრობის საქმე კვირა-უქმე დღეობითო, მხოლოდ სრულიად კი ვერ აღკრძალავს ვაჭრობას, რაც უნდა დიდი უქმე იყოსო. ამას ამბობდა ხმოსანი, გამოცდილი ნაფიცი ვექილი და მართლაც ასე არის.

მთელის საბჭოს დარბაზი სავსე იყო ვაჭრებით და ნოქრებით, რომელნიც გაფაციცებით უგდებდნენ ყურს ამ მათთვის საინტერესო საქმის გარდაწყვეტას, უნდა გენახათ როგორ იმოქმედა ამ საქმის გადადებამ დამსწრე საზოგადოებაზედ! ყველამ თავი დაღუნა, ყველამ საშინლად ამოიოხრა და თვალის დახამხამებაზედ გავიდნენ დარბაზიდგან. ნოქრებს იმედი ქონდათ,—ეხლა მაინც გვეშველებაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და გულ-დაწყვეტილნი წავიდნენ. როგორ გგონიათ, რისთვის უნდოდათ მოეხმარებინათ ნოქრებს მეტი თავისუფალი დრო? რისთვის იყო ასე მოწადინებული ეს ხალხი ამ საგნის სასურველად გარდაწყვეტას? იმისთვის, რომ ნოქრებს ჰსურდათ ევლოთ ახლად დაარსებულ საკვირაო სკოლაში საღამოობით და ცოტა ცოდნა მაინც შეეძინათ. სწორედ ამ აზრით იქმნა აქ ამ ჟამად დაარსებული საკვირაო სკოლა საღამოობით, რადგანაც დილის საკვირაო სკოლაში ვერ ახერხებდნენ სიარულს ნოქრები დროის უქონლობის გამო.

ახალ-თაობამ ითავა ამ სკოლის დაარსება, ნებაც აიღო აქაურ სემინარიის რექტორისაგან და კიდეც შეუდგა მეცადინეობას—სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში. პირველ კვირასვე სამოცამდე მსურველი ჩაეწერა და ეხლა, ერთის კვირის შემდეგ, მსურველთა რიცხვი ასს გადასცილდა, მაგრამ დროს სიმოკლე უშლის ხელს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. სწავლა იწყება საღამოს შვიდ საათზედ და თავდება 11 საათზედ. რამდენად ძნელი უნდა იყოს დაღალულ დაქანცულ ნოქრებისათვის მაღაზიის დაკეტვისათანავე სკოლაში წასვლა, მაგრამ სწავლის სურვილი იმდენად გაძლიერებულია მათ შორის, რომ დაღალვას ყურადღებას არ აქცევენ. საბჭოს რომ შეეწყნარებინა ვაჭრების თხოვნა, მაშინ ნოქრებს გაუადვილდებოდათ სკოლაში სიარული და უფრო შესამჩნევ ნაყოფს მოუტანდით საკვირაო სკოლა.

ს. რ.

## წმ. ნინოს თაყვანის-ცემა საფრანგეთში

ცნობილ ფრანგ-მოგზაურის და მსწავლულს ბარონ დე-ბაის, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია, შემდეგი საინტერესო ცნობები გადაუცია გაზეთ „კავ.“-სათვის ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ, საიდგანაც სჩანს, რომ ამ წმიდანს საფრანგეთშიაც თაყვანსა სცემენ. ბარონ დე-ბაის სიტყვით, „საფრანგეთის შემდეგს ეპარქიებში: რეიმსისა, შალონისა და სხვებში მრავალი ეკკლესიაა აგებული წმ. ქრისტიანე ქალის (sainte Chrétienne) სახელზედ. შამპანის დეპარტამენტში უმეტესად მეტად ამ წმიდანსა სცემენ პატივს. როგორც ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, ეს წმიდანი და წმ. ნინო ერთი და იგივე ყოფილა.

ბარონ დე-ბაის წყალობით საფრანგეთში მრავალი წიგნაკები გავრცელდა საქართველოს შესახებ. ამ წიგნაკებში, სხვათა შორის, წმ. ნინოს ცხოვრებაც იყო აღწერილი. ერთხელ ბარონს ლაპარაკი ჰქონია რეიმსის მთავარ-ეპისკოპოსთან, რომელსაც ის აზრი გამოუთქვამს, რომ წმ. ქრისტიანე და წმ. ნინო ერთი და იგივე წმიდანი უნდა იყოსო. ამის შემდეგ ბარონ დე-ბაი ამ საგნის დაწვრილებით გამოკვლევას შესდგომია.

„წმ. ქრისტიანე, ივერთ განმანათლებელი, რომის კათოლიკეთა ზოგიერთ კალენდარში ქალწულ ნინოდ წოდებული, რომის ეკკლესიაში აღნიშნულია 15 დეკემბერს ახალის სტილით. წმ. ქალწულის ცხოვრება აღწერილია რუფინისაგან († 410 წ.), რომელმაც საჭირო ცნობები ივერთა ერთის თავადისაგან მიიღო. ამ თავადს რუფინი იერუსალიმში შეჰხვედრია. რუფინს დავიწყებია წმიდანის სახელი და ნინოს ნაცვლად მისთვის ტუკა-ქრისტიანე უწოდებია. შემდეგ სასულიერო ავტორებსაც ესევე სახელი უხმარიათ. ბოლოს, ზოგადი სახელი ქრისტიანე საკუთარ სახელად გადაქცეულა. მას შემდეგ წმ. ნინოს იხსენიებენ ასე: ქრისტიანე ქალწული. შარდენი თავისს „მოგზაურობაში“ (XVII საუკ.) ქართველთ განმანათლებელს უწევე Nine ან Ninone უწოდებს. რადგანაც აკადემიკოსმა ბროსემ 1849 წელს „ქართლის-ცხოვრების“ თარგმნა გამოაქვეყნა, ყოველ-ფერი გამოირკვა. ამის შემდეგ რომის კათოლიკეთა სასულიერო მწერლებმა წმიდანს ნამდვილი სახელი დაუბრუნეს და უწოდეს: ქართველთ განმანათლებელი ნინო. ამ საგნის გამოსარკვევად ბევრი იმუშავეს, მაგალითად, მამა მარტინოვმა, მ. გაგარინმა და მ. დარამ.

„ამ რიგადაო—დაუმთავრებია დე ბაის—მე მიყვარს მშვენიერი საქართველო მარტო ბუნების სიდიადისა და იმის შვილთა გულ-წრფელობისათვის კი არა, არამედ იმისთვისაც, რომ ჩემი სამშობლო თაყვანსა სცემს წმ. ნინოს!..

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, მრავალი ბეწუანელი აფრიკანდიერი აშკარად მიმხრობია ბურებს. ამასთანავე ცნობილია, რომ ტრანსკეის ოლქში, რომელიც კაპის ახალშენს ეკუთვნის, არეულობა მოხდა. ეს ოლქი ერთი კუთხეა კაფრარიისა, რომელიც ოთხის სათემოსაგან შესდგება: ტრანსკეიისა, ტემბუსა, ბელმოსაველით გრიკვაისა და პონდოსაგან. კაფრარია მდებარეობს კაპსა და ნატალს შუა და სივრცით 22,000 ინგლისურ ოთხ-კუთხიან მილს უდრის; იქ სცხოვრობენ 10,000 ევროპელი და 560,000 ადგილობრივი კაცი. მარტო ერთს ტრანსკეაში 83,000 მცხოვრებია. მდინარე კეი ჰყოფს ამ ქვეყანას კაპის ახალშენისაგან, აქედგან დარქმევა მას ტრანსკეი. ზოგიერთი გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ სამხრეთ აფრიკის ყველა ჰოლანდიელები მოახდენენ ამბოხებას ინგლისის წინააღმდეგო.

— პარიჟის გაზეთები ერთხმად ულოცვენ ბურებს ლედი-სმიტთან გამარჯვებას. „Figaro“ ამბობს, რომ ასეთი გამარჯვება სასიამოვნოა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემბერლენი ისე იკვეხნიდაო. ბურებმა დაამარცხეს ინგლისელები ოსტატობით და თავიანთ უმრავლესობით, მაგრამ საეჭვოა დიდ ხანს შესძლონ ბრძოლის გაგრძელებაო. „Matin“-ი აქებს გენერალს უაიტს გულწრფელობისათვის, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის ჯარის დამარცხება მხოლოდ ჩემი ბრალია და მე ვკისრულობ პასუხის მგებლობასაო.

პარიჟელმა მწერლებმა კომიტეტი შეადგინეს, აფრიკაში ნამოგზაურის პოლკოვნიკ მონტეილის თავმჯდომარეობით, იმ აზრით, რომ სამხრეთ აფრიკის საქმეში ჩარიონ სხვა სახელმწიფოები იმის მოსასპობლად.

— ამ დღეებში პორტსმუტში კრება იყო, რომელსაც დაესწრნენ ზღვაოსან აფიცრებს გარდა სხვა მრავალნი წარჩინებულნიც. რადგან ეს კრება კვირას მოხდა, და ინგლისელები კვირა დღეობით საზოგადოდ არ იკრიბებიან საქმისათვის, ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია იმან. კრებას საიდუმლო ხასიათი ჰქონდა, და რა საგნებს შეეხო იგი, დანამდვილებით არავინ იცის. მხოლოდ ჰფიქრობენ, რომ კრებას ლაპარაკი ჰქონდა სათადარიგო და საბარგე გემების შესახებო.

**საფრანგეთი.** სენატორმა ბერანჟემ, უმაღლეს სასამართლოს საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარემ, მოხსენება წარადგინა იმის შესახებ, თუ რა გამოიკვლია ხსენებულმა კომისიამ. ბერანჟე ამტკიცებს თავისს მოხსენებაში, რომ სამივე დასს (პატრიოტთა, ანტისემიტთა და როიალისტთა) ერთმანეთის თანხმად მოქმედებდნენ და განზრახვა ჰქონდათ სახელმწიფოს ეხლანდელი წეს-რიგი დაემხოთ, რისთვისაც იმას წინააღმდეგ ხალხს აქეზებდნენო. მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციამ წარსული წლის დამლევს უმაღლეს წერტილამდე მიაღწიაო. მიმდინარე წლის თებერვალში აშკარად მოინდომეს მთავრობის დამხობა, და პრეზიდენტის ფორის გარდაცვალებით უნდოდათ ესარგებლნათო. ახალ პრეზიდენტის არჩევის დროს მომხდარ მანიფესტაციის შემდეგ გარდასწყვიტეს, ფორის დასაფლავების დღეს (23 თებერვალს) განხორციელებინათ თავიანთი განზრახვაო. 20 თებერვალს ორლეანის ჰერცოგი ბრიუსელში მივიდა, რათა დაახლოებოდა სამოქმედო ასპარეზსაო. 22 თებერვალს ბიუფემ დეპეშით აცნობა მას, რომ „ხვალ ყველანი თავისს ადგილას იქნებიანო“.

ოტეილში მომხდარი უწესოებას, ბერანჟეს მოხსენებით, გაგრძელება იყო

---

რელს ულოდინარობაში მამყოფებდით, თუმცა კარგად იცოდით, რომ არაფრის იმედი არ უნდა მქონოდა.. (ბარბარე მიუახლოვდება) ჩემი სიცოცხლე დაშხამულია... ესეც კმარა, უფრო მეტად ნუ დამტანჯავთ იმ ადამიანის ყურებით, რომელმაც ჩემ მიერ დაკარგული ბედნიერება უნდა მიიღოს... დეე გაიხაროს, ისიამოვნოს, დასტკბეს თავისის გამარჯვებით, მაგრამ ჩემგან-კი შორს ატარეთ, თორემ დავახრჩობ... (ამ ლაპარაკის ბოლოში სესილი თან და-თან ხმას უმაღლებს).

ბარბარე. სსსუ... აგრე ხმა-მაღლა ნუ ჰლაპარაკობთ... აქ არის...

სესილი. აქა?.. სად აქა?..

ბარბარე. (მხრებში წაავლებს ხელს და პირით სარკისაკენ მიაბრუნებს). აქა! (გადის).

სესილი. (გაოცებული იხედება აქეთ-იქით, შემდეგ ისევ სარკეს შეჰხედავს. შემოდის ლილი, რომელიც სასეირნოდ არის ჩაცმული, ხელში კალათა უჭირავს, თავზედ ყაყაჩოებიანი შლიაპა ჰხურავს. იგი გაჩერდება სცენის შუაგულს და ღიმილით შესცქერის სესილს. სესილი მობრუნდება). ლილი!.. ჩემო ძვირფასო!.. (გამოკვიდება, ლილი სიცილით გავარდება მარცხენა კარებში და კარებს მოჰხურავს. სესილი სცდილობს იმის გაღებას).

ლილი. (სცენის იქით) ახ, უკაცრავად!.. იმედი მაქვს, ხომ არა დაგიშავდათ-რა?..

სესილი. (გავარდება კარებში და სცენის უკან დაიძახებს) მაპატიეთ... შემინდეთ...

ფინიკუმი. (შემოდის, ტანისამოსი ოდნავ გამტვერიანებული და ქუდი მისრესილი აქვს) საკვირველია, რომ ქალაქის მცხოვრებლები სულ სადღაც მიეშურებიან!.. (შემოდის ბარბარე, ხელში ყავადანი უჭირავს. დაინახავს ფინიკუმს, კარებშივე შედგება და გაოცებით მესცქერის). უკაცრავოდ, მეგონა, რომ თქვენც სადმე მიეჩქარებოდით და გზა უნდა მომეცა... ამ რამდენისამე წუთის წინად საშინლად შემაშინეს ახალგაზდებმა, რომელნიც გაგიჟებით სადღაც მიეშურებოდნენ... ჩემი სახელი ფინიკუმი გახლავთ, ნატან ფინიკუმი... ქურდი არა ვარ, არც პოლიციის ჩუმა-მაძიებელი... (ბარბარე ყავადანს ბუხარზე შესდგამს). სოფლიდგან ჩამოსული მკურნალი გახლავართ და ამიტომ ჩემი ნუ შეგეშინდებათ. ქვემოდ მირჩიეს პირდაპირ აქ ამოვსულიყავი. რასაკვირველია, შემოსვლამდე კარს დავარაკუნებდი, მაგრამ, როგორც ვთქვი, კინაღამ გადამაქციეს და ამიტომ სრულიად დავიბენი... ბ-ნ ნორტონის სანახავად გავბედე აქ შემოსვლა... სესილ ნორტონისა... უეჭველად უნდა ვნახო სოფელში წასვლამდე, ესე იგი საღამომდე. იმისას ვიყავი, მაგრამ მოსამსახურემ მითხრა, რომ წავიდა „სახრუკებლადაო“... არ ვიცი ეს რასა ჰნიშნავს... და იქ შეიძლება იმისი ნახვაო... აქეთ მომასწავლა... თუ შეიძლება, უნდა მოველაპარაკო... ხომ არ გაწუხებთ?..

ბარბარე. ოო, სულაც არა!.. დაბრძანდით, ეხლავე დაბრუნდება... ეს-ეს არის გავიდა... კიბეზედ უნდა შემოგხვედროდით...

ფინიკუმი. კიბის შესახვევში შემოხვდა... მე მგონია, ის უნდა ყოფილიყო... მაღალის ტანისა, შავგვრემანი იყო, მხიარული ტანისამოსი ეცვა... ისე გრბოდა, რომ წინ არაკი იხედებოდა...

ბარბარე სწორედ სესილი იქნებოდა..,

ფინიკუმი. ხშირად დადის აქა?..

ბარბარე. ოჰ, ჩემთვის არა, ლილისათვის დადის!..

ფინიკუმი. ვინ ლილია, აი ის ყმაწვილი ქალი, ყაყაჩოებიანი შლიაპა რომ ეხურა და ხელში მიხაკის ფერი კალათა ეჭირა?..

ბარბარე. დიაღ, ისა...

ფინიკუმი. კინაღამ კიბიდგან ჩამაგორა... იმას მისდევდა სესილი?.. თქვენი და არის?..

ბარბარე. დიაღ... აგერ ორი წელიწადი შესრულდება, რაც ჩემი და გახდა... ისიც, ჩემსავით, მარტო იყო, უმეგობრო და, როგორც სესილი იტყვის ხოლმე, „დავქმობილდით“...

ფინიკუმი. (თვალ-დაშტერებით დაუწყებს ყურებას) სადღაცა უნდა მენახოთ ადრე?..

ბარბარე. არსად... არ მახსოვს, რომ როდისმე შემხვედრიყავით...

ფინიკუმი. ალბად შემცდა... მერე, სესილი წაიყვანს თქვენგან თქვენს დას?..

ბარბარე. როდისმე წაიყვანს, მაგრამ ჩქარა-კი არ იქნება ეს როდისმე... საბრალო!..

ფინიკუმი. რასაკვირველია... უფულოდ ცოლის შერთვა ძნელია...

ბარბარე. შერთვა-კი არ არის ძნელი... საცოლოს პოვნას არც დიდი თავის მტვრევა უნდა!.. შენახვაა ძნელი და აი, ეს-კი არ შეუძლიან... გულ-ახდით გეტყვით, თითონაც უჭირდება ცხოვრება...

ფინიკუმი. სამკვიდრო რომ მიიღოს?..

ბარბარე. ეხლა-კი მესმის!.. მე-კი სულ იმას ვფიქრობდი, რა საქმე უნდა ჰქონდეს-მეთქი?.. ბევრია?..

ფინიკუმი. საკმარისი!.. წელიწადში ასე, სამასი თუმანი წმინდა შემოსავალი...

ა. ახნაზაროვი

(დასასრული იქნება)

შეთქმულობისა, რომელმაც 23 თებერვალს ვერ მიაღწია თავისს მიზანს. დრეიფუსის საქმის გასარჩევად რენში დაწყებულმა პროცესმა საბუთი მისცა შეთქმულებს ისევ აეტეხნათ აგიტაცია. ზოგიერთი გაზეთება აშკარად იწვევდნენ ჯენერლებს არსებულ წეს-წყობილების დასამხობად. საბედნიეროდ მხედრობამ არ უღალატა თავისს მოვალეობას. 11 აგვისტოს პოლიციამ სახლი გაუჩხრიკა შეთქმულებს და ბევრი მათგანი დაატუსაღა; 20 აგვისტოს ახალი უწესოება მოახდინეს სამივე ლიგის წევრებმა. სამივე ლიგა, თუმცა ერთმანეთის მოძღვრება არა სწამდათ, ერთად მოქმედებდნენ, ერთს მიზანს ელტოდნენ და ერთმანეთის მოქმედება იცოდნენ. ყველა ამ საბუთების თანახმად, ბერანჟე სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულობას აბრალებს და იმ აზრის არის, რომ ყველამ პასუხი უნდა აგოს უმაღლეს სასამართლოს წინაშე.

## სასამართლოს მატიანე

პლიუშჩევსკისა და თავ. კ. მუხრან-ბატონის საქმე

27 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს 1-ლ სამოქალაქო განყოფილებაში გაირჩა პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა დავა თავ. ივ. მუხრან-ბატონის მემკვიდრეზედ თავ. კონსტ. მუხრან-ბატონზედ, 99 ათას მანეთის შესახებ.

პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა ვექილმა ბ-ნმა შონმა განაცხადა, რომ სასამართლომ დავა სიყალბის ჩადენის შესახებ უკვე მოსპო და ითხოვა მიესაჯოს პლიუშჩევსკის მემკვიდრეთ ეს ფული.

თავ. მუხრან-ბატონის ვექილმა ი. ა. გუნცაძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ საბუთის ქაღალდის მხოლოდ ფოტოგრაფიული შემოწმება არ არკვევს სიყალბის საქმეს და ითხოვა შემოწმებულ იქმნას კალიგრაფიული შემოწმებაო. ამას გარდა ნაფ. ვექ. გუნცაძემ ითხოვა გასინჯულ იქმნას ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატის წიგნები საბუთის ქაღალდის შინაარსის დასარღვევადაო, ბ წარადგინა მოწმეთა სია და ითხოვა ჩვენება ჩამოერთვათ ამ მოწმეთ იმის დასამტკიცებლად, რომ ივ. მუხრან-ბატონის სიკვდილის შემდეგ პლიუშჩევსკი ამბობდა, თავ. ივ. მუხრან-ბატონს არავითარი ვერძო ვალი არ დარჩენაა, ხოლო მისი მამული კი რამდენიმე მილიონი ჯღირსო და აგრეთვე იმის დასამტკიცებლად, რომ იმ საქმეთა საჩუქრელი, რომელთაც პლიუშჩევსკი აწარმოებდა, მან თავისს დროზედ მიიღოო.

სასამართლომ განაჩენის გამოცხადება 10 ნოემბრისათვის გადასდო.

## დამოუკიდებ

შიშვლის ტანის გამოჩენა დასაწყისია მრუშობისა.

ციცერონი

* * *

ვისაც არ უხნავ, არ უთესია და მრავალს-კი ითხოვს ღვთისაგან, იგი ღმერთს სცდავს.

ქსენოფონტე

* * *

კაცთა ისტორია სამი სიტყვით დაიწერება: გაჩნდა, დაფუსფუსდა და განქრა. სხვა არაფერი ითქმის-რა მის სიცარიელით სავსე ცხოვრების შესახებ.

ბ. დ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველაზედ დიდი რკინის გზების მწარმოებელი სააქციონერო საზოგადოება ამერიკაში არსებობს. ამ საზოგადოებას სახელად „Pensylvanian Company“ ჰქვიან. 1898 წელს ამ საზოგადოების რკინის გზებით გადაზიდულ იქმნა 11 მილიარდი ფუთი საქონელი. ამავე წელს 71 მილიონმა მგზავრმა ისარგებლა ამ რკინის გზებით. სრული შემოსავალი საზოგადოებას ჰქონდა 265 მილიონი მანეთი, აქედგან ხარჯი იყო 200 მილიონი, წმინდა მოგება დარჩა საზოგადოებას 65 მილიონი მანეთი. არც ერთ რკინის გზაზედ არ გადააქვთ საქონელი ისე იაფად, როგორც ამ საზოგადოების რკინის გზებზედ: ფუთი ერთ ვერსზედ ღირს მხოლოდ $^1/_{30}$ კაპ.

* * *

ერთმა ფრანგმა ამას წინად გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები ამინდის შესახებ სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ყველაზედ გულ-უხვად მზე თავისს სხივებს ესპანიას უგზავნის: წლის განმავლობაში მზე იქ 3000 საათს ანათებს. დანარჩენ საათებში ან წვიმა მოდის და ან მზე ღრუბლით არის დაფარული. ესპანიას იტალია მოსდევს—2300 საათს,—საფრანგეთი—2200 საათს,—გერმანია—1700 საათს,—ინგლისი—1400 საათს.

* * *

როგორც ვუწყით, ამერიკის ქალაქებში გამართულია მრავლისაგან მრავალი ელექტრონის რკინის გზები, ტელეფონები და ტელეგრაფები. სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, რომ საქალაქო ელექტრონის რკინის გზებზედ დახარჯულია იქ სულ 1,700,000,000 მანეთი, ტელეფონებზედ—200,000,000 მანეთი, ტელეგრაფზედ—ამდენივე, ელექტრონულ განათებაზედ—1,200,000,000 მანეთი. მარტო ქალაქებში გამართულ რკინის გზების წყალობით 170,000 კაცი ირჩენს თავს.

* * *

საფრანგეთში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ქალები კორსეტის ხმარებისაგან გადაარჩიოს. ამას წინად ამ საზოგადოების თავმჯდომარეს წერილით მიუმართავს შესანიშნავ არტისტქალ დუზესთვის და უთხოვნია თეატრალურ ტანისამოსში გადაღებული თქვენი სურათი გამოგვიგზავნეთო. დუზე კორსეტს არ ატარებს და საზოგადოებას იმის სურათი ქალებისთვის საჩვენებლად სდომებია. თავმჯდომარეს შემდეგი წერილი მისვლია დუზეს ქალისაგან: „ელეონორა დუზე მადლობას გიცხადებთ წერილისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ თხოვნას ვერ ასრულებს და სურათს ვერ გიგზავნით, რადგანაც ასეთი სურათი გადაღებული არა აქვს. ამ ჟამად გიგზავნით მხოლოდ ჩვეულებრივ ტანისამოსში გადაღებულ სურათს. კორსეტს დედა-ჩემი არასოდეს არა ჰხმარობს და არც მე მაძლევს ნებას ვიხმარო.

„ჰენრიეტა მარკეტტი“.

* * *

სამხრეთ აფრიკაში ამას წინად სულ ერთის თვის განმავლობაში დაარსდა ახალი სახელმწიფო—რესპუბლიკა აკრი. ეს რესპუბლიკა დააარსა ერთმა ესპანელმა, გვარად როდრიგეც არისმა. მდებარეობს ახალი რესპუბლიკა მდინარე აკრის ნაპირას. მეზობელი სახელმწიფონი—ბოლივია და ბრაზილია იმ მიწას, სადაც ეხლა რესპუბლიკაა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ ჟამად ახალ რესპუბლიკაში 50,000 მცხოვრებელია. პრეზიდენტად ამ ახალის რესპუბლიკისა თვით როდრიგეც არისია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოქტომბერი

**ბერლინი.** „Norddeusche Allgemeine Zeitung“-ი სწერს: „დარბაზობას, რომელსაც გადიუხდიან მათნი უდიდებულესობანი ჩვენს იმპერატორსა და დედოფალს, სიხარულით მოეგებება ჩვენის ერის ყველა წოდება, ვითარცა ახალს წინდს ძვირფას დამოკიდებულებისას, რუსეთისა და გერმანიის სამეფო სახლთა და გერმანიისა და რუსეთის იმპერიათა შორის არსებულს. იმპერატორს ნიკოლოოზ მე II ჩვენ პატივსა ვცემთ ვითარცა დიდად ნიჭიერს, სულგრძელს მონარქს, რომელიც დიდებულ საგნებისაკენ წარმართავს მსოფლიო იმპერიას და გერმანიასთან კეთილი მეზობლური, საუკეთესო დამოკიდებულება აქვს. ამა დამოკიდებულებამ რუსეთის საზღვარგარეშე, ორი საუკუნის საზღვარზედ, გაანაყოფიერა პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება დედამიწის ზურგის ყველა ხალხისა ახალის, ბევრის მოლოდინის დამპირებელ გრძნობანითა და გულის-თქმანით. შევყურებთ რა ამა უავგუსტოესს მოწინავე მებრძოლს კაცთმრიობის საუკეთესო მისწრაფებათათვის, ჩვენ ვხედავთ ამასთანავე ერთად გერმანიისა და რუსეთის მეგობრობის დამამკვიდრებელს, რაიცა სიმკვიდრეს არა ერთ გზის უჩენია თავი საქმით. ამ გერმანიისა და რუსეთის ერთ-გვარ ნაყოფიერ მორიგებაზედ, რომელიც უზრუნველ-ყოფილია ორივე ხელმწიფის გულითადის დამოკიდებულებით, დაფუძნებულია იგი, რომ გერმანიისა და რუსეთის ჯარს შეუძლიან მშვიდობიანად იმოქმედოს ევროპაში ერთმანეთის გვერდით. მტკიცეთ ვართ რა დარწმუნებულნი, რომ ხვალინდელს დღეს ბედნიერი შედეგი ექმნება კეთილ დღეობისა და მშვიდობიანობისათვის, მოწიწებითა და გულითადად მივეგებებით უავგუსტოესს რუსეთის მონარქსა და იმისს უავგუსტოესს მეუღლეს, ვითარცა სტუმართ ჩვენის იმპერატორისასა ბ იმპერატრიცასას.“

**ბერლინი.** „Morning Post“-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ რუსეთსა, საფრანგეთსა ბ ისპანიას ერთმანეთ შორის მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ჩარეულიყვნენ ინგლისისა და ტრანსვაალის საქმეში და შეეთანხმნენ კიდეც ერთმანეთს, რომ საზოგადო ნოტით სამედიატორო სასამართლოს მოწვევა ერჩიათ. გერმანიის დახმარებასაც მიჰმართეს, მაგრამ გერმანიამ უარი შემოუთვალაო. ამ დეპეშის შესახებ „ვოლფის სააგენტო“ შენიშნავს: „რუსეთისა, საფრანგეთისა და ისპანიის იმ საერთო "განზრახვის შესახებ, რომ ტრანსვაალის საქმეში ჩარეულიყვნენ, ჩვენ გარდაწყვეტით შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ აქ არა უწყიან-რა და არავის ეს ამბავი გერმანიის მთავრობისათვის არ უცნობებია და კიდეც ამიტომ არც შეეძლო გერმანიის მთავრობას უარ-ეყო ეს ანუ სხვა ამგვარნი წინადადებანიო.

**ვილდპარკი.** აქ მობრძანდნენ რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა. დახვდნენ გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა. როდესაც მატარებელი მოახლოვდა, საპატიო ყარაულმა სამხედრო სალამი მისცა, ხოლო მუსიკამ რუსეთის საერო საგალობელი დაუკრა, ხოლო ხალხმა „ურა“ შესძახა. რუსეთის იმპერატრიცა პირველი გადმოვიდა ვაგონიდგან და გერმანიის იმპერატრიცა გულითადად გადაეხვია და დაჰკოცნა. ორივე იმპერატორმაც რამდენჯერმე დაჰკოცნეს ერთმანეთს. შემდეგ რუსეთის იმპერატორი დიდხანს ესაუბრა თავადს რადოლინს, ხოლო გერმანიის იმპერატორი—გრაფ მურავიოვს. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ორნი იმპერატრიცანი ახალს სასახლეში მიბრძანდნენ, სადაც შემდეგ იმპერატორნიც წაბრძანდნენ. გზაზედ მათ უდიდებულესობათ ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

28 ოქტომბერი.

**ლონდონი.** „Dailu Pel.“-ს პიტერმარიცბურგიდგან ატყობინებენ, რომ გენერალი ფრენჩი დურბანიდგან კაპის ახალშენში წავიდაო.

მეფეკინგიდგან იუწყებიან, რომ გუშინ ბურებმა იერიში მიიტანეს ამ ქალაქზედ და მოიწადინეს იმის აღება, მაგრამ ჩვენმა ჯარმა უკან დაახევინაო. ბევრმა ბურმა დამალულ ნაღმებზედ გადაირბინა, ნაღმები აფეთქდა და მრავალნი დაიხოცნენო.

„Dailu Pel.“-ს პიტერმარიცბურგიდგან ატყობინებენ: „ჟუბერმა ჯარით კოლენსოსაკენ დაიწია. მიზეზად იმ ზარალსა სთვლიან, რომელიც ბურებს ლედი სმიტიდგან მიაყენეს.

**მადრიდი.** პოლიტიკურ წრეებში აშკარავდა, რომ მოლაპარაკება მართლაც არის ტრანსვაალის საქმეში ჩარევის შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-226 ნომერში დასტამბულმა აკეთიდგან მოწერილმა ამბავმა მომაგონა, რომ მე ზნეობრივად მოვალე ვარ ერთ საგანში ვუმოწმო აკეთის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეს ბ-ნ ჯ. ბაჟუნაიშვილს. საქმე ის არის, რომ იქაურმა კორესპონდენტებმა თუ კალამი აიღეს ხელში, პირველად მათრახი უეჭველად სამკითხველოსა და მისს გამგესაკენ უნდა მოიქნიონ, თითქოს ისე წერა არ ეხერხებაო, და მერე კიდევ სამკითხველოს დაქვეითების მიზეზად მისს ახალ ადგილზე გადატანას ასახელებენ, ხოლო სამკითხველოს გადატანას მთლად გამგეს აბრალებენ. ეს მე ცილის-წამებად მიმაჩნია; როგორც სამკითხველოს ერთს დამაარსებელთაგანს, ბაჟუნაიშვილი უკვე დამეკითხა ამ საგნის შესახებ და სამკითხველოს ახალ ადგილზე გადატანის გამო სრული თანხმობა გამოვუცხადე. არა ვფიქრობ, რომ სხვებისაგანაც ასეთი დასტური არ მიეღოს. სამკითხველო ეხლა ზედ გზაზეა, სოფლის სასამართლოსთან. სოფლელნიც ამ გვარ ადგილზედ თავს უფრო ხშირად იყრიან და მთელს დღეს უსარგებლო მასლაათში ატარებენ. ჩვენც ვფიქრეთ: იქნება, ვინმემ ცუდად ჯდომას წიგნებისა და გაზეთების კითხვა ამჯობინოსო, და სამკითხველო ახლო მივუჩინეთ. სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს, იქ სამკითხველოს მიტანამ, არა მგონია, მისი საქმე არიოს. თუ სამკითხველოს საქმე ცუდად მიდის, თუ მკითხველების ნაცვლად მხოლოდ ძვირის მთქმელნი და კრიტიკანები-ღა გაუხშირდნენ, ეს იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ დახმარება და საქმის კეთება თითოეულს ჩვენგანს უფრო ეძნელება, ვიდრე თავისს მეზობელზე ძვირის თქმა. მე თითონ ვიყავი იმის მოწმე, რომ ბაჟუნაიშვილი იხვეწებოდა: მიმძიმს სამკითხველოს მოვლა, დამეხმარეთ რომ წესში მოვიყვანო, ან სულ განმათავისუფლეთ ამ მოვალეობისაგან და სხვა პატრონი მოუნახეთო. მაგრამ მისი ხმა კრიტიკანთა სამთავროში რჩებოდა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. დასასრულ ძლიერ დავუმადლებ, რომ ? ივანიძე, ან ა. გეგეჭკორი დამავალებდნენ და მომწერდნენ: რამდენ თუმანს ჰხარჯავს წლიურად უკანასკნელი მის მიერ დაარსებულ სასოფლო ფოსტაზედ. იქნება სხვაც გამოჩნდეს ვინმე, რომ სხვა რომელიმე სოფელი მოიმადლიეროს ასეთის დაწესებულებით.

ა. წითლიძე


# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—29)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები:

ქართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ევ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია 1, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისივე თარგმანი 30.

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავი 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 к.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანასი 40 კაპ.

ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი 1 მან. 50 კაპ.

თხზულებანი პუშკინისა 50 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 27 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე